უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი
09.09.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინე იოსელიანი - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი;
2. არჩილ გერსამია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადმინისტრაციის უფროსი;
3. ნანა ქაშაკაშვილი - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელი;
4. ანდრო აბაშიძე - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნინო თოფურიძე - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
6. მარინე ხუბუა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ინგა გაბისონია - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8. თამარ შინჯიაშვილი - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
9. ირმა დიხამინჯია - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის

მართვის სამსახურის უფროსი;

11. ლევან მიდოდაშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
12. მარინა გედევანიშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
13. კახაბერ ჯაყელი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

დავით ბოსტოღანაშვილი;
ანა კლდიაშვილი;
ციური დურული;
თამარ ვეფხვაძე;
ქეთევან ჯანელიძე;
მანანა ხაჩიძე;
გიული კალატოზიშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1² პუნქტის თანახმად, სათათბირო ხმის უფლებით სხდომას ესწრებოდნენ მამია ჯანჯალია და მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა წარადგინა ლევან მადათოვმა, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვს საბჭოს შემდეგი სხდომისთვის გადადების თაობაზე. შუამდგმლობის საფუძველს წარმოადგენდა სხდომის თავმჯდომარის, დავით აფრასიძისა და სხდომის მდივანის, ანანო გიორგაძის თვითაცილების შესახებ განაცხადი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვისას. გამომდინარე აქედან, საბჭო არ იქნებოდა უფლებამოსილი აღნიშნული საკითხის განხილვის დროს, რადგან საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი არ იქნებოდა სახეზე.
საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, დავით ბოსტოღანაშვილმა. მან აღნიშნა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებამ საგანამანათლებლო მიზნებისათვის უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით დაიმატა თბილისში, რ. თაბუკაშვილის N27-ში მდებარე 239 კვ.მ ფართი. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმებულია 2016 წლის 1 აპრილს და მოქმედების ვადად განსაზღვრულია ორი წელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ხელშეკრულების გაგრძელების მექანიზმსაც თითო თვით. ხელშეკრულების ორ წლიანი ვადა არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის, N188 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეკომენდაციებში მატერიალური რესურსების მფლობელობასთან დაკავშირებით მოცემულ დებულებას, რომლის თანახმადაც ,,ხელშეკრულების საფუძველზე მფლობელობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენიდან არანაკლებ 5 წლის ვადით სარგებლობის უფლება". ამასთან აღსანიშნავია, რომ დასახელებული იჯარის ხელშეკრულება არაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში;
- ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის დამატებულ ფართზე დასრულებული იყო ძირითადი სარემონტო სამუშაოები. ფართი არ იყო აღჭურვილი სათანადო ინვენტარით და არ იყო ადაპტირებული სპეციალიალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. დამატებულ ფართზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სერვის ჯგუფ 2011 -თან, რომლის მიხედვითაც სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2016 წლის 18 ივლისს. დაწესებულების წარმომადგენელთან განცხადებით სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღმოფხვრილი იქნება შენობის არსებულ სტანდარტებთან დაკავშირებული ყველა შეუსაბამობა;
- საჯარო რეესტრის მონაცემებში მითითებული ფართი (239კვ.მ) არ შეესაბამება ფაქტობრივ ფართს, რომელიც აზომვითი ნახაზების მიხედვით უტოლდება - 427,38 კვ.მ-ს;
- დღეის მდგომარეობით დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის საკუთრებაში აქვს 846 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით, 253 სკამი, 105 მაგიდა, 274 კომპიუტერი;
- აკადემიური პერსონალი საერთო რაოდენობაა 37, მათ შორის პროფესორი -16, ასოცირებული - 9, ასისტენტ-პროფესორი - 9, ასისტენტი - 3.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ გამოსწორებულ იქნა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და თან აქვთ წამოღებული აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. მისი განმარტებით, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ რ. თაბუკაშვილის N27-ში მდებარე ფართი სრულად შეესაბამებოდა მატერიალური რესურსის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, მოხდა იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რა გარემოებებით იყო განპირობებული დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1250-ს. ამჟამად დაწესებულებაში ირიცხებოდა 950 სტუდენტი, ხოლო ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ სტუდენტთა რაოდენობა კონტიგენტის ზღვარზე იქნებოდა. ამასთან, ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა და იგეგმებოდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების დამატებაც. გარდა ამისა, დღევანდელ საბჭოს სხდომაზე განიხილებოდა ასევე, დაწესებულებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი და საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან შესაბამისი კვოტა უნდა გამოეყო პროფესიული სტუდენტებისთვისაც. სხვა შემთხვევაში ის ვერ შეძლებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. დაწესებულების სურვილი იყო სტუდნეტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გაზრდილიყო 250-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია ასევე მონაწილობდეს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზრვრული 2 პირი. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით 9 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები, მაია ჩიხლაძე და მამია ჯანჯალია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, თამარ ვეფხვაძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, 4 საბაკალავრო, 10 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამას. დაწესებულების სურვილი იყო მოეპოვებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. საავტორიზაციოდ წარმოდგენილი იყო ერთი პროფესიული პროგრამა, ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის განხორციელებას დაწესებულება გეგმავდა ქ. თბილისში, მარი ბროსეს ქ. N2-ში მდებარე შენობაში, რომელიც აღჭურვილი იყო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავდა 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი 2 პროფესიული მასწავლებელი და შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძალიან აქტუალური გახდა დღევანდელ დღეს ქვეყანაში პროფესიული განათლება და დაწესებულების სურვილი იყო წვლილი შეეტანა ამ სფეროს განვითარებაში. 2005 წლიდან დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა რეგიონებში მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათთან დადებული იქნა ამ დროის მანძილზე არაერთი მემორანდუმი და ხელშეკრულება. მართალია, პროფესიული სწავლების

სპეციფიკა განსხვავებული იყო, მაგრამ დაწესებულება ძალისხმევას არ დაიშურებდა რომ ამ მიმართულებითაც დაეკავებინა თავისი ნიშა.

საბჭოს მოწვეული წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი დაწესებულებამ ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა განპირობებული იყო ამ პროფესიის აქტუალობით, შესაბამისად, დასაქმების მეტი პერსპექტივით. სამომავლოდ დაწესებულება გეგმავდა სხვა პროფესიული პროგრამების განხორციელებასაც ეტაპობრივად.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების დოკუმენტაციის გაცნობის დროს აღმოაჩინა ისეთი ხარვეზი, რაც ექსპერტთა დასკვნაში არ იყო დაფიქსირებული. კერძოდ, საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გაწერილი იყო დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი საათები, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც პრაქტიკის კომპონენტი უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ მეცადიენობასა და გამოცდის ჩაბარებას. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტი არ მოიცავდა დამოუკიდებელ საათებს.

ექსპერტმა, თამარ ვეფხვაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ დოკუმენტაციაში არ იყო დაფიქსირებული ასეთი შეცდომა. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტები ამ ფაქტს დააფიქსირებდნენ და ვიზიტის პროცესშივე გამოასწორებდა დაწესებულება. მისი ვარაუდით, დაწესებულების მიერ დოკუმენტაციის რამდენიმე სამუშაო ვერსია იყო წარმოდგენილი და ის ვერია, რომელიც ცენტრში იყო გადმოგზავნილი განსხვავდებოდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილი ვერსიისაგან. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ჯერ არ იყო მოქმედი, მასზე არ ირიცხებოდნენ პროფესიული სტუდენტები და უფრო მარტივი იქნებოდა ამ ხარვეზის გამოსწორება დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ვერსია არსებობდა დოკუმენტაციის და შესაძლოა, ცენტრში წარმოდგენილი ვერსია არ ყოფილიყო საბოლოო. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს მოწვეულ წევრს, ქალბატონ მაია ჩიხლაძეს და აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში, რომელიც ექსპერტების მიერ იქნა გადამოწმებული ვიზიტის დროს, ასეთი შეუსაბამობა არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს წევრმა, გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ ცუდი ფაქტი დაფიქსირდა და ეხლა რთული იქნებოდა იმის გარკვევა რეალურად დოკუმენტაციის სხვა ვერსია გადაამოწმეს ექსპერტებმა, თუ მათ აღნიშნული ხარვეზი ვერ დააფიქსირეს.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 14:50 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 15:05 საათზე.

დავით აფრასიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი ადგილის გამოყოფა სურდა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების სურვილი იყო 1500 ადგილიდან 40 ადგილი გამოყოფილიყო პროფესიული სტუდენტებისათვის. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას შეეძლო 40 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების

მოპოვებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხელმეორედ გადამოწმდეს ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან და შემოწმების შედეგები ეცნობოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოს.

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, ციური დურულმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილი იყო განხორციელების უფლება მოეპოვებინა შემდეგ პროგრამებზე: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მეხუთე საფეხური); სადაზღვევო აგენტი (მეოთხე საფეხური); ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მეხუთე საფეხური). დასახელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აკამაყოფილებდნენ ავტორიზაციის სტანდარტდებით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულას ჰქონდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი აღნიშნული პროგრამების განსხორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ეტაპობრივად გამოხატა მზაობა პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად. თავდაპირველად მოხდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, შემდეგ მოხდა პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების გადამზადება, მათ გაიარეს შესაბამისი ტრენინგ-კურსები და აიმაღლეს კვალიფიკაცია და ამის შემდეგ მიმართა დაწესებულებამ ცენტრს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, იყო თუა არა დაწესებულებაში გამიჯნული ფართი პროფესიული და აკადემიური საფეხურის სტუდენტებისათვის და ასევე, დუბლირება ხომ არ მოხდებოდა დაწესებულების საბაკალავრო პროგრამების აღნიშნული პროფესიული პროგრამებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად მათთვის ცალკე სასწავლო ფართი იყო გამოყოფილი. რაც შეეხებოდა დუბლირების საკითხს, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები უფრო ვიწრო სფეროს სპეციალისტები გამოვიდოდნენ.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას თავის მისიაში მოხსენიებული პროფესიული პროგრამების განხორციელების თაობაზე და ჰქონდა თუ არა მემორანდუმები დადებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მობილობის თაობაზე, პროგრამების გაუქმების შემთხვევაში.

ციური დურულმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში ჰქონდა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების საკითხი. მემორანდუმებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დასკვნაში არ იყო დაფიქსირებული თუმცაღა ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეამოწმეს რამოდენიმე დაწესებულებასთან დადებული მემორანდუმი,

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეამოწმეს რამოდენიმე დაწესებულებასთან დადებული მემორანდუმი, მათ შორის იყო სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელემა აღნიშნა, რომ დაწესებულება გაიზიარებდა მაია ჩიხლაძის რეკომენდაციას და განახორციელებდა შესაბამის ცვლილებას მისიაში.

დავით აფრასიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი ადგილის გამოყოფა სურდა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან და რამდენი სტუდენტის მიღება სურდა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან 160 ადგილი გამოყოფილიყო პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთაგან 80 ადგილი განკუთვნილი იქნებოდა ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის, ხოლო 40-40 ადგილი სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურისა და ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამებისათვის.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო დასახელებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205224700) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის	162	80	ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. N26; პოლიტკოვსკაიას ქ. N61

			პროფესიული კვალიფიკაცია			
2	სადაზღვევო აგანეტი	მეოთხე	სადაზღვევო აგანეტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	133	40	ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. N26; პოლიტკოვსკაიას ქ. N61
3	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მეხუთე	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	92	40	ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ. N26; პოლიტკოვსკაიას ქ. N61

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მანანა ხაჩიძემ. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ახორციელებდა 20 საბაკალავრო, 12 სამაგისტრო, 12 პროფესიულ და 3 სხვა საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა განეხორციელებინა კიდევ ერთი საბაკალავრო პროგრამა - ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)". გადამოწმების შედეგად, დადგინდა რომ აღნიშნული პროგრამა აკამყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულება უკვე ახორციელებდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართულენოვან პროგრამას. ახალი ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო დაწესებულების 12 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 9 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, ერთი და იგივე პერსონალი იყო თუ არა ჩართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში და როგორ ხდებოდა ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის განახორციელებდნენ ძირითადად ის პირები, ვინც ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებაში იყვნენ ჩართული. მათი ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურება მოხდა გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითხვისა და შესაბამისი სერტიფიკატების წარმოდგენის საფუძველზე.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რა კონტიგენტზე იყო გათვლილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორიელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა გათვლილი იყო როგორც ქართველ ისე უცხოელ სტუდენტებზე. დაწესებულება იყო ჩართული არაერთ საერთაშორისო გაცვლით პროექტში და მათში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის აუცილებელი იყო აღნიშნული პროგრამის განხორციელება. უახლოეს მომავალში დასრულდებოდა არა ადგილობრივი სტუდენტებისათვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებლის რემონტიც.

საბჭოს მდივანი, ანანო გიორგაძე დაინტერესდა, განსაზღვრული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის დონე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმუმ

60 ქულის მოპოვება ინგლისური ენის გამოცდაში, ხოლო უცხოენოვანი სტუდენტებისათვის არ იყო ენის ცოდნასთან დაკავშირებით არანაირი პირობა განსაზღვრული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ბაკალავრიატი	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	ინფორმატიკის ბაკალავრი Bachelor of Informatics

5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარე, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რამდენი პირი იყო აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან და როგორ დაადასტურა დაწესებულებამ ინგლისურ ენაში მათი კომპეტენცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგამის განმახორციელებელი პერსონალიდან აკადემიურ თანამდებობაზე იყო არჩეული 14 პირი, რომელთაგან 3 იყო პროფესორი, ხოლო 11 იყო ასოცირებული პროფესორი. ასევე, მოწვეული იყო 12 პროფესორ-მასწავლებელი. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ხდებოდა აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმება. თუ პირი ვერ წარმოადგენდა შესაბამის სერტიფიკატს ან ცნობას, დაწესებულება შიდა გამოცდის საფუძველზე ამოწმებდა მის ცოდნის დონეს.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის უცხოელი სტუდენტი ირიცხებოდა დაწესებულებაში და რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ აღნინულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 500-მდე უცხოეულ სტუდენტს უწევდა საგანმანათლებლო მომსახურებას, რომელთაგან დიდი ნაწილი სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობდა. ეს სტუდენტები ძირითადად იყვნენ ნიგერიიდან, თურქეთიდან, ერაყიდან და ინდოეთიდან. ამ ეტაპზე 24 მსურველი იყო დარეგისტრირებული, ვისაც აღნიშნულ პროგრამაზე სურდა სწავლა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე იყო განსაზღვრული და იმ პირებს, ვისაც არ უდასტურდებოდათ შესაბამისი კომპეტენცია, მათთვის სპეციალური ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი ინიშნებოდა, რომელიც გრძელდებოდა 1 სემესტრის მანძილზე. ამ მიზნით შექმნილი იყო დაწესებულებაში უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201951637) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:5 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე